ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6452335

ნომერი: AR1959649

თარიღი : 10.04.2023

გაცემის თარიღი : 08.05.2023

გაცნობის თარიღი : 08.05.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცაცხვების VIII შესახვევი, N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მელაძე პ/ნ 01007008494
- თბილისი დავით ბაქრაძის ქ. N 4 ბ. 10

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 53
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 4.03.2020

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ პატარქალიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "პი ბი ჯი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205279330
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი მელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01007008494

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 600.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 269.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1210.4
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 629.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 328.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 66.1
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 111.9
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 75.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 5240.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5000.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 240.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 17.53
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 16.73
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 269.7 (0.5)
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 929.9 (0.1)
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 90 (0.2)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. .არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: ველში მიუთითეთ #01/2773 (N53, თარიღი 03/04/2020)

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 09/04/2012

02. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: გენ.გეგმაზე დაიტანეთ შენობის განთავსების არეალი განაშენიანების რგულირების გეგმის შესაბამისად, დაიტანეთ სიმაღლის ნიშნულები დონეთა სხვაობის შესაბამისად, დაიტანეთ შენობის მიბმის მანძილები, შესასვლელი მოეწყოს სატრანსპორტო სქემების შეთანხმების შემდეგ იდენტურად. დაიტანეთ მისაწვდომი სვლა გეზი. დაიტანეთ რეგულირების ხაზები გრგ-ს შესაბამისად.

03. .შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

. +9.900 ნიშულზე მოწყობილი სართულით ირღვევა გრგს სართულიანობა, სართულიანობა და სიმაღლე მოყვანილ იქნას შეთანხმებულ გრგ-სთან შესაბამისობაში. აღნიშნულ სართულზე კიბის უჯრედი მოეწყოს არაუმეტეს 2,3მ-დე, დამატებითი ფართების გარეშე..

. ავტოსადგომების შემინვა არ არის მისაღები.

. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს განაცხადზე , საჭიროა, არქიტექტურული პროექტი მომზადდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ,,შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.
წარმოდგენილ უნდა იქნეს საექსპერტო შეფასება არქიტექტურული პროექტების „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან შესაბამისობის თაობაზე.
. წარმოსადგენია სრულყოფილი, დეტალურად მომზადებული “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების” ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი გრაფიკული დოკუმენტაცია ყველა საჭირო ზომების მითითებით.
წარმოსადგენია ბინების დეტალური კვანძები („ა“ და „ბ“ ტიპის ბინების მითითებით) ასევე სველი წერტილების, კიბის უჯრედის და სხვა კვანძები, დეტალური ზომებით. გაითვალისწინეთ, რომ შესაბამისობის დასკვნაში ვრცლად უნდა იქნეს აღწერილი ინფორმაცია “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების” რეგლამენტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით და დასაბუთებული შესაბამისი ქვეთავებით ზემოაღნიშნულ რეგლამენტში.
წარმოდგენილი იქნას არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-შესაბამისობის დასკვნა.
. გეგმებზე დატანილ იქნას ექსპელიკაციები.
. გეგმებზე, ჭრილებსა და ფასადებზე დატანილ იქნას აბსოლიტური ნიშნულის ნულოვან ნიშნულთან მიმართება
. წარმოადგინეთ საყრდენი კედლების განშლა, მოცულობის ანგარიში და მიანიჭეთ შესაბამისი კალსი.
. დაინომროს ბინები თანმიმდებრულად, გაითვალისწინეთ 1 ბიანზე 1 ავტოსადგომი.
. ავტოსადგომებზე დაიტანეთ ზომები. -3.100 ნიშნულზე შესასვლელი დაკორექტირდეს სქემების შეთანხმების შემდეგ და მოეწყოს იდენტურად.
. მიწისპირა სართულის დასადგენად წარმოდგენილ იქნას -3.100 ნიშნულზე არსებული სართულის განშლა რელიეფის ხაზისა და ფართის მითითებით. შესაბამისად დაანგარიშდეს მიწისპირა სართული (მიწისპირა სართული, რომლის იატაკის ნიშნულის მიწის ზედაპირიდან ამოწევის საშუალო სიმაღლე 1,8 მეტრამდეა, ხოლო მისი ჭერის მიწის ზედაპირიდან ამო-წევის საშუალო სიმაღლე 1,8 მეტრს აღემატება;) და აღნიშნულის შესაბამისად მიწისპირა სართულს მიენიჭოს 0.00 ნიშნული, რის შესაბამისადაც უნდა დაკორექტირდეს ჭრილები, ფასადები და გეგმები (ნიშნულების მითითების ნაწილში).
04. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : მითითებულია შეუსაბამო კოეფიციენტი.
. ლოჯიის და ვერანდის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი - კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/2-ით; ვექტორულ ფაილში მიუთითეთ დეტალური ანგარიში.
04’. .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : ვექტორულ ფაილში წარმოადგინეთ კ-1 და კ3 კოეფიციენტის საანგარიშო კროკები. გაითვალისწინეთ რომ კ-1 კეოფიციენტში იანგარიშება საყრდენი კედლების ფართი.
. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-18 მუხლის თანახმად: სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი). მათი არსებობის შემთხვევაში, სამყოფების ფართობში შედის ლოჯიის, აივნის, ტერასისა და ვერანდის ფართობები. საჭიროა მოხდეს ზემოაღნიშნული წესის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში ფართების დაანგარიშება, და გეგმებზე წარმოდგენილ ექსპლიკაციებსა და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობების დაკორექტირება შესაბამისად.
05. .შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: ფასადებსა და ჭრილებზე დაიტანეთ საკადასტრომდე მიბმის მანძილები.
. მიუთითეთ მოსაპირკეთებელი მასალები.
. წარმოადგინეთ ფასადების დეტალური პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს გარე კედლების საფარის, ღიობების, გარე ფანჯრისა და კარების, არქიტექტურული გაფორმების, აივნებისა და მსგავსი ნაშვერების ნახაზებს (ცალკეული კვანძების დეტალური ნახაზებს).
- წარმოდგენილ იქნას არქიტექტურული ელემენტების (კარ-ფანჯრები, ჟალუზები და სხვ.), დეტალების (გაფორმების ელემენტები, ნაკეთობები და ა.შ.) და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია;
06. .შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: . სართულიანობა და სიმაღლე მოყვანილ იქნას შეთანხმებულ გრგ-სთან შესაბამისობაში.
07. საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის

სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი: წარმოადგენილია სხვა საკადასტრო ერთეულზე შეთანხმებული სქემები.
წარმოსადგენია სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები. აიტვირთოს შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.
08. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვისა საქალაქო სამსახურთან შესათანხმებლად საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:
1. კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
2. გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
3. გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
4. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
5. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;
09.ვინაიდან იცვლება გრუნტი, შესაბამის ველში ატვირთეთ გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმა.
10. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - ს/კ: 01.01.834 და ს/კ: 01.00.287; მესაკუთრე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.
არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.